

## დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის ანგარიში

### 1. ადმინისტრაციული სამსახური:

ადმინისტრაციული სამსახურის ფუნქციების შესაბამისად მთელი წლის მანძილზე ხორციელდებოდა განცხადებების მიღება და მოქალაქეთა მომსახურება. მ/წლის ნოემბრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის მერიაში edokument – პროგრამაში (4945) და ასევე mms (1049) პროგრამის მეშვეობით შემოსულია სულ 5994 კორესპონდენცია, აქედან უმეტესი ნაწილი ეხება მოქალაქეთა განცხადებებს, სადაც ითხოვენ ფინანსურ დახმარებას, მკურნალობა-საოპერაციო თანხებს, ავარიული და დაზიანებული სახლების შეკეთებას, მშენებლობა - ექსპლუატაციაში მიღებისნებართვას, ბინის პრივატიზებას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შემოსული წერილებია, რომლებიც ძირითადად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დარეგისტრირებას, მიწის ფართის იდენტიფიკაციის დადგენას და საკუთრების უფლების აღიარების კომისიიდან ინფორმაციის გამოთხოვას ეხებოდა.

მუნიციპალიტეტიდან გასული დოკუმენტების რაოდენობა შეადგენს 4400; გამოცემული სამართლებრივი აქტების რაოდენობა შეადგენს 2382. მომზადდა სამივლინებო მოწმობები. (სულ 308 სამივლინებო მოწმობაა გაცემული), შიდა დოკუმენტით შექმნილია 4440.

ადმინისტრაციული სამსახურის მიერ ხორციელდება მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოებაზე კონტროლი და მათ მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენის სისრულისა და შესაბამისობის შემოწმება. ასევე, ადმინისტრაციული სამსახურს დაგეგმილი აქვს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სხვადასხვა ტრენინგ მომსახურების შესყიდვა.

➤ 2019 წელს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საერთო რაოდენობა წლის დასაწყისში შეადგენდა - 95; ხოლო წლის დასრულისთვის - 96.

➤ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა როგორც წლის დასაწყისში, ასევე წლის დასასრულისთვის შეადგენს - 7.

➤ დმანისის მუნიციპალიტეტის მერიამ სამჯერ გამოაცხადა კონკურსი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად:

ა) გამოქვეყნდა კონკურსი 10 თანამდებობისთვის. აქედან, 3 - წარმატებით დასრულებული, ხოლო 7 - გამოცხადდა ჩაშლილად;

ბ) გამოქვეყნდა დახურული კონკურსი 4 თანამდებობისთვის. ოთხივე წარმატებული;

გ) ამჟამად გამოცხადებულია კონკურსი 11 ვაკანტური თანამდებობისთვის და უახლოეს პერიოდში იგეგმება კონკურსის გამოცხადება დანარჩენი ვაკანტური თანამდებობისთვის.

ადმინისტრაციულ სამსახურში საზოგადოებასთან ურთიერთობას ორი თანამშრომელი უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის dmanisi.gov.ge ადმინისტრირებას.

ადმინისტრაციული სამსახურის მეშვეობით ხორციელდება სოციალური ქსელის მონიტორინგი, მუნიციპალიტეტის Facebook გვერდის ადმინისტრირების უზრუნველყოფა, პასუხების მომზადება გვერდის მომხმარებელთან კითხვებზე;

სამსახურის აქტიური ჩართულობით მიმდინარეობს მუშაობა „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ თანახმად, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისათვის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის საკითხებზე. სტატუსის მინიჭების მიზნით დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში 2019 წლის იანვრიდან დღემდე სულ დარეგისტრირდა 186 განცხადება, აქედან:

- დადებითად დასრულდა 171.
- უარყოფითად დასრულდა 2.

- განუხილველად იქნა დატოვებული 2 .
- მიმდინარე 11 .
- რეესტრის საფუძველზე შეწყვეტილი 143 .
- მონიტორინგის შედეგად გადამოწმდა 1772 ( ფიზ.პირი ) .
- მონიტორინგის შედეგად შეწყვეტილი 110 .
- შეჩერებული 3 .

2016 წლიდან დღემდე:

- სულ პირველადი რეგისტრაციით მინიჭებული აქვს 6493 ადმიანს.
- სულ განხილვის შედეგად მიენიჭა 4140
- სულ ამჟამად მოქმედი სტატუსით სარგებლობს 9521
- სულ ამჟამად შეწყვეტილი ( მონიტორინგი, რეესტრი ) 1118
- სულ შეჩერებული 64

ადმინისტრაციული სამსახურში 2018 წლიდან შექმნილია იურიდიული განყოფილება, რომელიც ინტენსიურად ახორციელებს ძირითადად შესყიდვების განყოფილებიდან და ქონების განყოფილებიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის სამართლებრივ ანალიზს.

1. სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწით თვითნებურად დაკავების/სარგებლობის ფაქტებთან დაკავშირებით დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შედგენილი იქნა და გადაგზავნილი იქნა სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმები, სულ -17 საქმე, აქედან - 5 შეწყდა, 10 - შენიშვნა, 2- ჯარიმა.

2. ადმინისტრაციული სარჩელები - 1 ერთეული (დმანისის მუნიციპალიტეტი იყო მესამე პირის სასამართლო პროცესზე)

3. სამოქალაქო საქმეები - სულ 8. აქედან - 6 შემთხვევაში დმანისის მუნიციპალიტეტის მერია არის მოსარჩელე, ხოლო 2 - შემთხვევაში მოპასუხე

4. აღსრულების ეროვნული ბიუროში იძულებით აღსასრულებლად გადაგზავნილია - 20 საქმე, აქედან 12 საქმე (1000 ლარიანი ჯარიმები სამოვრებზე) გადაგზავნილი იქნა სასამართლოს მიერ, ხოლო - 8 საქმე დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ .

ადმინისტრაციული სამსახურის იურისტების მიერ მომზადდა ნორმატიული აქტის (საკრებულოს დადგენილების) პროექტები.

ადმინისტრაციული სამსახური საანგარიში წლის განმავლობაში ახორციელებდა მერის, მერის სამსახურებისა და თანამდებობის პირების იურიდიულ კონსულტირებას, სამართლებრივი დასკვნების მომზადებას; უწევდა კონსულტაციებს მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს და მოქალაქეებს.

ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილების მეშვეობით, გამარტივებულია მოსახლეობიდან ინფორმაციის მიღება და მათთვის ინფორმაციის მიწოდების პროცედურა, აღნიშნული ხორციელდება ყოველდღიურ რეჟიმში და გადაუდებელ შემთხვევაში დაუყოვნებლივ ხდება მიღებული ინფორმაციის მიღება და გადამისამართება შესაბამის უწყებებთან (მერის შესაბამისი სამსახურები, გუბერნატორის ადმინისტრაცია თუ სხვადასხვა სამინისტროებში). მერის ყველა წარმომადგენელი არის ჩართული სოფლის 2019 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელ პროექტებში. „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მერის წარმომადგენლის მიერ დამუშავებულია 474 დოკუმენტი, ასევე მერის წარმომადგენლების მიერ ხორციელდება გარდაცვლილი პირების რეგისტრაციის მიზნით ოქმების შედგენა.

ადმინისტრაციული სამსახურის თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართული მერის ბრძანებით შექმნილი სხვადასხვა კომისიების მუშაობაში:

1. „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭებისა და შეწყვეტის საკითხის განხილვის მიზნით გამგებლის მიერ უფლებამოსილი პირები განსაზღვრის შესახებ“;

2. „დმანისის მუნიციპალიტეტში ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის შესახებ“;

3. „დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“;

4. „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2019 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“;

5. „სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელების მიზნით სატენდერო კომისიის შექმნის შესახებ“;

6. „პირის დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ“;

7. დმანისის მუნიციპალიტეტის საინვენტარიზაციო კომისია;

8. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისია;

და სხვა.

## **2. ზედამხედველობის სამსახური**

დმანისის მუნიციპალიტეტში ზედამხედველობის სამსახურის მიერ ჩატარდა შემოწმება, შპს „ალიონის“ (ქ.მარნეული, იადლუჯის ქ. N23) შესრულებულ სამუშაოებზე - სოფ. ბაზაქლოს, ამამლოს, ტყისპირის, მამიშლოს და საფარლოს გაზიფიცირების სამუშაოებზე. შემოწმებისას დადგინდა რომ, ცენტრალური სავტომობილო გზის რამოდენიმე ადგილას დაზიანებული გვერდულები (მოსფალტებული ფენა), გზა. მიეცა მითითება შპს „ალიონს“ მასზედ, რომ აღნიშნული დარღვევები დაუყოვნებლივ გამოეწორებინა და მოეხდინოს ასფალტის საფრის პირვანდელი იერსახის მოდგომარეობაში მოყვანა. შპს „ალიონმა“ გამოასწორა აღნიშნული დარღვევები.

შემოწმებული იქნა შპს „მაგთიკომის“ მიერ ქ.დმანისიდან სოფ.ბალიჭებამდე სოფ.განთიადის გავლით მიწისქვეშა საკომუნიკაციო არხებისა და ჭების მოწყობის სამუშაოები, სადაც დადგინდა რომ, ქ.დმანისში ხერგიანის ქუჩაზე სამუშაო არ განხორციელდა გათვალისწინებული ნორმების დაცვითი ზომებით, კერძოდ სამუშაოს დასრულების შემდგომ, ხერგიანის ქუჩაზე გვერდულები არ იყო მოწყობილი პირვანდელი იერსახის გათვალისწინებით, სამუშაოს განხორციელების დროს დაზიანებულია გზის გვერდულები (მოსფალტებული ფენა) გზა, ასევე გადათხრილი იყო სავტომობილო გზის მონაკვეთი, რომელიც საჭიროებს აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გაეგზავნა შეტყობინება მაგთიკომს.

დაჯარიმდა სოფელ კამარლოში მცხოვრები პირი, რომელმაც აწარმოა უკანონო მშენებლობა საკუთარ მიწის ნაკვეთზე, დაჯარიმდა 200 ლარის ოდენობით.

ადგილზე შესწავლილი იქნა „აბულბუქში“ მდებარე ე.წ. სამსხვრევის უნებართვო მშენებლობის საკითხი. სამუშაოების მწარმოებელი კომპანია დაჯარიმდა 200 ლარის ოდენობით.

ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაიცა არაერთი წერილობითი მითითება სხვადასხვა საკითხზე;

ზედამხედველობის სამსახურის მიერ განხორციელდა შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ მიერ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა დმანისში გაზსადენის დასრულებული ხაზოვანი ნაგებობების და დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაკის გაზსადენის დასრულებული ხაზოვანი ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღება.

მიმდინარე წელს განხორციელდა დმანისის მუნიციპალიტეტში მდინარე მამუთლოზე სოფელ ზემო ოროზმანში შპს „ენერჯი ინვესტიზი ენდ თრეიდიგ კომპანი“-ის საკუთრებაში არსებული მცირე სიმძლავრის „ორო ჰესის“ დასრულებული ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღება.

ასევე შპს „მათიკომის“ ინტერნეტიზაციის სამუშაოების დასრულების შემდგომ, ხაზოვანი ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღება.

მიეცათ მითითებები ქ. დმანისში გარე ვაჭრობასთან დაკავშირებით დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 13 აგვისტოს N20 დადგენილების „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების შესახებ“, მე-3 მუხლის შესაბამისად,

ზედამხედველობის სამსახურის მიერ შედგენილია სულ 27 (ოზდაშვიდი) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც ეხებოდა დმანისის მუნიციპალიტეტისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის უნებართვოდ დაკავების ფაქტს.

სამსახური დაუყოვნებლივ რეაგირებდა, ადმინისტრაციულ ერთეულებში წარმომადგენლების და სხვა პირების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაზე, რომელიც ეხებოდა ფიზიკური/იურიდიული პირის მიერ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების მდგომარეობას.

### **3. შიდა აუდიტის სამსახური**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ, 2019 წლის სამუშაო გეგმის შესაბამისად, წლის დასაწყისიდან ჩატარებულ იქნა 5 შიდა აუდიტორული შემოწმება; შესაბამისად, შედგენილი იქნა შიდა აუდიტორული ანგარიში, რომელშიც ასახული იქნა ფაქტობრივად არსებული მდგომარეობა, განხორციელდა რისკების შეფასება და გაცემული იქნა რეკომენდაციები მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით:

- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დმანისის სათნოების სახლის“ 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტორული შემოწმების შესახებ (იანვარი-თებერვალი);

- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლის“ 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის შესახებ (მარტი - აპრილი);

- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ 2017-2018 წ.წ. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტორული შემოწმების შესახებ (ივნისი - ივლისი);

- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურის“ 2018 წლის პირველი იანვრიდან 2019 წლის 1 ივლისამდე პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის შესახებ (აგვისტო - სექტემბერი);

- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახურის“ მიერ 2017 წლის 1 ივლისიდან 2019 წლის 1 ივლისამდე

გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ჩატარების შესახებ (ოქტომბერი - ნოემბერი).

სამსახურის მიერ წლის დასაწყისიდან განხორციელდა წინა წლებში ჩატარებული ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი მოქმედი კანონმდებლობის და შიდა აუდიტის ობიექტებიდან გამოთხოვილი წერილობითი ინფორმაციის შესაბამისად; კერძოდ:

- „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დმანისის სამუსიკო სკოლის“ 2016 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტორული შემოწმების შესახებ“ შედგენილი ანგარიშის მიხედვით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ (მარტი);

- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დმანისის საბიბლიოთეკო სამსახურის“ 2016 წელსა და 2017 წლის პირველ ნახევრის პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტორული შემოწმების შესახებ“ შედგენილი ანგარიშის მიხედვით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ (მაისი);

- „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურში 2015 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის შესახებ“ ანგარიშის მიხედვით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (ივლისი).

#### **4. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური:**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ 2019 კალენდარული წლის პერიოდში საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის N12 და 2019 წლის 5 აგვისტოს N360 დადგენილებების თანახმად სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწეული იქნა 58 წვევამდელი, მ.შ.:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში - 44;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში - სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში - 5;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებულ ქვედანაყოფებში - 9;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტში ვადიანი სამხედრო საკონტრაქტო სამსახურის გასავლელად ჩაირიცხა - 3;

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის თანახმად გადავადება მიეცა 263 წვევამდელს, მ.შ.:

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო - 22;

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი - 135;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლე - 21;

სწავლობს სასულიერო სასწავლებელში - 3;

ჰყავს ერთი შვილი - შვილის შეძენის დღიდან სამი წლის ვადით - 31;

ჰყავს ორი ან მეტი შვილი - 19;

არის დედისერთა - 42;

მუშაობს სოფელში მასწავლებლად - 5;

გადაიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან საქართველოს კანონით დადგენილი გადავადების მოსაკრებელი 2000 ლარი - 7.

დამატებით სამედიცინო გამოკვლევაზე გაიგზავნა 1 წვევამდელი;

საქართველოს შეიარაღებულ ძალების საკონტრაქტო სამსახურში გასაწვევად შერჩეული 6 კანდიდატის ორ ეგზემპლარად შექმნილი პირადი საქმეები გადაიგზავნა საქართველოს შეიარაღებულ ძალების გენერალურ შტაბში.

სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილი და საქართველოს შეიარაღებული ძალების რეზერვში ჩარიცხულ იქნა 256 მოქალაქე, მ.შ.:

საქართველოს კანონის „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად - 65 მოქალაქე (სამხედრო სავალდებულო სამსახურ გავლილი);

21-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად - 191 მოქალაქე (27 წლის ასაკს მიღწეული);

საერთო სამხედრო აღრიცხვიდან მოიხსნა 17, მ.შ.:

რეგისტრაციის ადგილისშეცვლასთან დაკავშირებით - 15;

გადაყვანილ იქნა სპეციალურ აღრიცხვაზე 4 მოქალაქე.

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 და მე-14 მუხლების შესაბამისად პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილი იქნა 141 მოქალაქე, მ.შ.:

2002 წელს დაბადებული ჭაბუკები - 132 და 9 უფროსი ასაკის ის მოქალაქეები, რომლებიც ადრე სხვადასხვა მიზეზის გამო არ იქნენ აყვანილნი სამხედრო აღრიცხვაზე.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ გაცემული იქნა 71 რეზერვისტის დროებითი მოწმობა, 68 წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობა და 8 ცნობა სამხედრო ნამსახურობის შესახებ. შესრულებული იქნა 288 სხვადასხვა სახის განცხადება და შემოსული კორესპონდენცია.

## **5. განათლების კულტურისა და სპორტის სამსახური**

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის 2019 წლის ანგარიში:

სამსახურმა 2019 წლის განმავლობაში განახორციელა შემდეგი აქტივობები:

1. მედია ჯგუფი „ეტალონის“ მიერ „დმანისის ეტალონი მოსწავლის“ გამოსავლენ ღონისძიების მოწყობა.

2. კორნელი გირგვლიანის სახელობის საერთაშორისო ტურნირის ჩატარების ორგანიზება ძიუდოში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სპორტსმენებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან და მეზობელი ქვეყნებიდან.

3. „სამოყვარულო ფეხბურთი 2019“ მუნიციპალური ეტაპის ორგანიზება.

4. სახალხო დღესასწაულის „ნოვრუზ ბაირამი“ ჩატარება სოფ. ქვემო ოროზმანის მიმდებარე ტერიტორიაზე.

5. 9 აპრილის ტრაგედიის მსხვერპლთა მემორიალის შემკობა გვირგვინით.

6. პროექტ „ცოცხალი წიგნების“ ფარგლებში შეხვედრის ორგანიზება პოეტებთან და მწერლებთან.

7. „დედამიწის დღესთან“ დაკავშირებით დასუფთავების აქციის ორგანიზება.

8. „26 მაისის კვირეულის“ ფარგლებში სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებების გამართვა.

9. დმანისის ტურისტული პოტენციალის და მარშრუტის განხილვა.

10. სახალხო დღესასწაული „სულთმოფენობის“ ორგანიზება.

11. „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2019“ -ის რეგიონალურ თამაშებზე მონაწილეობის მიღება ქ.რუსთავში.

12. „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2020“ მუნიციპალური თამაშების ორგანიზება და განხორციელება.

13. ააიპ „ომარ მუმლაძის სახელობის სპორტსკოლის“ მიერ ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი კიკ-ბოქსინგში.

14. დმანისელი ძიუდოისტის სპარტაკ გურჩიანისთვის ხელშეწყობა თურქეთში მსოფლიო ჩემპიონატზე გასამგზავრებლად.

15. დმანისელმა ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ჩემპიონატს მკლავჭიდაობაში, ქ.თბილისში, სადაც დაიკავეს 1,2 და 3 ადგილები.

16. ინფორმაციის მოძიება სპორტული ინფრასტრუქტურის შესახებ (დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული სტადიონები) და მათი ფოტოფიქსაცია.

17. „ევროპის დღეებთან“ დაკავშირებული სპორტული ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება.

18. „Master Liga“ 7-7 ფეხბურთის ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ტურნირში მონაწილეობა.

19. „ევროპის სპორტის კვირეული“ - ის ფარგლებში სპორტული ღონისძიებების ორგანიზება და განხორციელება.

20. „სოსო რთველაძის“ სახელობის ტურნირის ორგანიზება მინი ფეხბურთში ვეტერან ფეხბურთელებს შორის.

21. „შუქრი ჩხეტიანის სახელობის ტურნირი“ ჭადრაკსა და მინი-ფეხბურთში.

22. „მსოფლიო დღესთან“ დაკავშირებით ჩატარდა დასუფთავების აქცია ქ.დმანისსა და მიმდებარე ტერიტორიაზე.

23. სახალხო დღესასწაულში „დიდგორობა“ მონაწილეობა საგამოფენო მასალებით. ჩართულობა სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში.

24. „ახალგაზრდული ფესტივალი 2019“ -ის გამარჯვებული დმანისელი ახალგაზრდების გაგზავნა „მანავის მომავლის ბანაკში“.

25. ჯუმბერ კოპალიანის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით ღონისძიების ორგანიზება-განხორციელება.

ააიპ „საგანმანათლებლო ცენტრში“ 2019-2020 სასწ. წლებში მოსწავლეთა რაოდენობამ შეადგენა 226. აქედან ქართველი მოსწავლეების რაოდენობა 71. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მოსწავლეების რაოდენობა -155. გოგო -104. ბიჭი -122.

ააიპ კულტურის სტუდიებში (ხატვა, თეატრი, ხეზე კვეთა, ქართული ხალხური სიმღერების, ქართული ხალხური ცეკვების, სამეჯლისო და სპორტული ცეკვების, საესტრადო სიმღერების, ხალხური საკრავების, საგალობლების და თეატრალური) ირიცხება 270 მოსწავლე.

მიმდინარე წელს ააიპ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ბიუჯეტი 362. 5 ლარია, აქედან 9 თვის მდგომარეობით გახარჯულია 257 182 ლარი.

მიმდინარე წელს ცენტრისთვის შეძენილი იქნა 12 600 ლარის ღირებულების ხმის აპარატურა (დინამიკები, კაბელიანი და უკაბელო მიკროფონები, მიქშერი და სხვ.), შეიკერა ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლისთვის „შგარიდა“ სასცენო ფორმები - 4523 ლარი (ქსოვილი და კერვა), ჩექმები - 1530 ლარი, სამეჯლისო და სპორტული ცეკვების სტუდია „დანისი“-თვის კაბები-2080 ლარი, ქორეოგრაფიული სტუდიის „დმანის“-თვის 2227 ლარის ღირებულების სასცენო ფორმები და 1285 ლარის აზიურები და სხვა აქსესუარები (ქამარ-ხანჯალი, ლეკვერთხები და სხვ.), 929 ლარის გარე განათების პროექტორები ცენტრის შენობისთვის, ტურისტული საინფორმაციო ცენტრისთვის შეძენილ იქნა 1 ცალი კომპიუტერი, 1 ცალი ლეპტოპი, 1 ცალი პრინტერი და ტელევიზორი - 4091 ლარი, ტურისტული ცენტრისთვის შეძენილ იქნა ასევე ავეჯი (მაგიდები, სკამები, დივანი, თარო და სხვ.) - 3805 ლარი, სსიპ ზინაიდა კვერენჩილაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული თეატრისთვის შეძენილ

იქნა: რკინის გორგოლაჭები -450 ლარი, ხელოვნური ბალახი-136 ლარი, პოლიკარბონატი მონოლითური (გამჭვირვალე) – 844 ლარი და სხვ. მშობელთა შემონატანებმა, 9 თვის მდგომარეობით ცენტრის ანგარიშზე შეადგნა 2120 ლარი.

ააიპ ომარ მუმლაძის სახელობის სპორტული სკოლის აღსაზრდელთა რაოდენობამ მიმდინარე წელს შეადგინა 196-ს. სკოლის ბიუჯეტი არის 181000, სკოლაში ფუნქციონირებს ძიუდოს, კარატეს, ფეხბურთის, კრივის (სოფ. ამამლო), თავისუფასლი ჭიდაობის, სამბოს, კიგბოქსის (სოფ. ვარდისუბანი) და ჭადრაკის წრეები. მიმდინარე წელს სკოლამ სპორტის ფედერაციისაგან მიიღო 4000 ლარის გრანტი რომლითაც შეძენილი ინა სახვადასხვა სპორტული ინვენტარი.

## **6. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური**

სამსახურს მჭიდრო, ყოველდღიური კონტაქტი და ასევე ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული (სააგენტოსთან) სოციალური მომსახურების სააგენტოს დმანისის რაიონულ განყოფილებასთან სოციალურად დაუცველი პირებისათვის შესაძლო დახმარების აღმოჩენის და მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ხელშეწყობის მიზნით.

სამსახურის ხელმძღვანელი უძღვება მაღალმთიანი კომისის სხდომას, რომელიც წლის განმავლობაში პერიოდულად იმართება შემოტანილი განცხადებების შესაბამისად.

ყოველდღიურ აკონტროლებს ააიპ „სათნოების სახლის“ და ააიპ „ჯანდაცვის სამსახურის“ მუშაობას.

პერიოდულად ტარდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს სხდომა.

სამსახური ყოველდღიურად ახდენს ახალი მონაცემების შეტანას და შევსებას, რამდენმა მოქალაქემ ისარგებლა ერთჯერადი დახმარებით, სტაციონარით, სრულდება თუ არა სამგზავრო პროგრამები.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა წლის დასაწყისში აქტიურად დაიწყო მუშაობა და 7 იანვარს, შობის ბრწყინვალე დღესასწაულზე, მუნიციპალიტეტის მასშტაბით 33 უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახში მუნიციპალიტეტის მერთან ერთად გავანაწილეთ საშობაო საჩუქრები (ტკბილეული და საკვები პროდუქტები).

29 მარტს კომპანია „Internacional Georgia“ - ის მოწვევით ღონისძიებაში „ჩვენ თქვენი მეგობრები ვართ“ დმანისის მუნიციპალიტეტის ქ. დმანისის N1, N2, სოფელ დიდი დმანისის, სოფელ კიზილ - ქილისის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებმა ქალაქ თბილისში მინიონების ცენტრში მიიღეს მონაწილეობა, საქველმოქმედო აქციას სტუმრობდა რუსი ვარსკვლავი მალიკა რაზაკოვა, რომელიც 3 საათიანი ღონისძიების მანძილზე პატარებთან ერთად იმყოფებოდა, ღონისძიების დასრულების შემდგომ ყველა მონაწილე პატარას ტკბილეულს მწარმოებელმა კომპანია „სანდომმა“ საჩუქრები გადასცა.

წლის განმავლობაში გქონდა აღებული პასუხისმგებლობა ისეთ ოჯახებზე, რომელთა მცირეწლოვანი შვილები საჭიროებდნენ პატრონაჟს და ყურადღებას (ქალაქ დმანისში მცხოვრები გულბანების, გერლიანების და პაპაიშვილების ოჯახის მცირეწლოვანი ბავშვები), ვუწევდით დახმარებას რომ დროულად მიეღოთ ააიპ „სათნოების სახლში“ დღეში ერთჯერადი კვება, ვვლოთ ააიპ „საგანმანათლებლო ცეტრში“ სხვადასხვა სახის წრეებზე.

სამსახური იმყოფება მუდმივ კონტაქტზე სოფლის ექიმებთან ახდენს გამოვლენილი პრობლემების ერთობლივად გადაწყვეტას.



წლის განმავლობაში სამსახურის მუდმივი კონტაქტი აქვს საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ოფისთან და მოქალაქეთა მიერ შემოტანილი განაცხადების დაკმაყოფილებას ახდენს დროულად, რომლებიც საჭიროებდნენ გადასაადგილებელ ეტლებს ( დღეის მდგომარეობით გაცემულია 13 ეტლი).

თებერვალში სამსახურმა საჭიროებიდან გამომდინარე ჩაერთო სოფელ ირგანჩაიში მცხოვრები უკიდურესად გაჭირვებული ერთერთ ოჯახში არსებული სიტუაციის შესწავლას. სოციალურ მუშაკების ჩართულობით ოჯახი გადაყვანილ იქნა კახეთის რეგიონში მდებარე კრიზისული მომსახურების ცენტრში. დღეს აღნიშნული ოჯახი (სამი მცირეწლოვანი შვილი) ქირით ცხოვრობს ქ. დმანისში, ჩავრთეთ ააიპ „სათნოების სახლის“ კვების პროგრამაში და არიან სოციალური შემწეობი მიმღებნი.

წლის განმავლობაში თითქმის ყოველ თვე ხდება გასვლითი შეხვედრები სოფლებში როგორც ადგილობრივი სოციალური პროგრამების პოპულარიზაციას, ასევე ჯანდაცვის სამინისტროს ხაზით გაწერილი პროგრამების გაცნობის მიზნით, რომელიც ძირითადად იმ 35 დასახელების მედიკამენტებს ეხებოდა, რომლებითაც სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარები სარგებლობენ. ასევე განხორციელდა პროგრამის თარგმანი აზერბაიჯანულ ენაზე რათა უფრო ხელმისაწვდომი ყოფილიყო ეთნიკურად დასახლებული სოფლის მოსახლეობისათვის.

ასევე სამსახური თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაცია „CENN“ - თან, რომელიც პერიოდულად აწყობდა შეხვედრებს და ტრენინგებს მერიაში. გაგზავნილია საგრანტო განაცხადები ( ერთზე უარი მოვიდა), მეორეს პასუხს ველოდებით.

სამსახური აქტიურადაა ჩართული C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში, რომელიც ოფიციალურად დამტკიცდა როგორც ცალკე პროგრამა 2019 – 2020 წლების და დმანისის მუნიციპალიტეტის მერია გაიღებს მისი განხორციელებისათვის 18 900 ლარს. დატრინინგდნენ ექიმები, დაიწყებენ უკვე აცრების კამპანიას თავიანთ სამოქმედო ტერიტორიებზე.

წლის განმავლობაში მოხდა სხვადასხვა კლინიკების მიღება, რომლებმაც მოსახლეობისათვის ჩაატარეს უფასო სამედიცინო გამოკვლევები („სხივური მედიცინა ცენტრი, მარდალეიშვილის კლინიკა, კლინიკა „ნიუ ჰოსპიტალი, „კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი“).

სამსახურის მხარდაჭერით ჩატარდა სისხლის გადასხმის უანგარო აქცია და დმანისის მუნიციპალიტეტმა უკვე რიგით მეორედ მიიღო სიგელი დონაციაში უნგაროდ მონაწილეობისათვის და ქალაქ თბილისში მდებარე „არტ ჰაუზის“ ხელოვნების დარბაზში გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე დასახელდა ერთ- ერთ საუკეთესო მუნიციპალიტეტად.

სამსახური ჩართული იყო სააღდგომო დღესასწაულთან დაკავშირებით უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისთვის „სააღდგომო ნობათის“ მომზადებისა და გადაცემისათვის, 25 აპრილს დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 40 ოჯახს გადაეცათ სასაჩუქრე პროდუქტის ნაკრები.

სამსახურის თანამშრომლები სისტემატურად ესწრებიან და მონაწილეობენ ყველა იმ შეხვედრას, რომელიც იმართება მერიაში ან მის გარეთ საჭიროებიდან გამომდინარე:

28 მაისს სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ გამართულ შეხვედრაზე WASH დაინტერესებული მხარეების ეროვნულ სემინარზე, სადაც განიხილეს თემა „წყალი სანიტარია და ჰიგიენა“ და ასევე იმსჯელეს სამომავლო გეგმებზე, შეხვედრის შემდგომ გაიმართა 4 დღიანი ტრენინგი სემინარები სასტუმრო ლოპოტაზე იგივე თემაზე.

13 ივნისს ააიპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში“, სადაც მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ სამუშაო ვიზიტით (სტეფან დორი და ფატიმა ბერი)

ვირუსული ინფექციების წინააღმდეგ რა კამპანიას ახორციელებს ჯანდაცვა, ასევე გაეცნენ ადგილობრივ სოც. პროექტებს, ეწვივნენ ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოს;

19 ივნისს მერიის საკონფერენციო დარბაზში სოციალური მომსახურების სააგენტოს ქვემო ქართლის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსი შეხვდა „სოფლის ექიმებს“ და მათმა კოორდინატორმა ნინო ქოქოსაძემ დეტალურად გააცნო ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმიფო პროგრამის ფარგლებში 35 დასახელებს მედიკამენტი;

4 ივლისს დავესწართ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის იმუნიზაციის პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ ტრენინგს თემაზე პაპილომა ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის დანერგვაზე საქართველოში;

30 აგვისტოს დავესწართ ა/ო „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოებას“ მიერ მოწყობილ ტრენინგს, შეხვედრა ითვალისწინებდა დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირთა მშობლებთან შეხვედრას და სამომავლოდ ორგანიზაცია აპირებს სპეც. საჭიროების ბავშვებისათვის (ასაკიც დაითვლება რამდენი იქნება მსურველი და დაიყოფა ჯგუფებად) დღის ცენტრის მოწყობას ქ. დმანისში მდებარე N1 საჯარო სკოლაში;

9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების 74 წლისთავთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე მე-2 სამამულო ომის ვეტერნებს გადაეცათ საჩუქრები ბინაზე მიტანით.

14 ივლისს ქალაქ თბილისში ბავშვთა გასართობ ცენტრში „ჯოიფულიში“ 10- მა სპეციალური სწავლების საჭიროების მქონე ბავშვმა მონაწილეობა მიიღო საქველმოქმედო ღონისძიებაში „ჩვენ თქვენი მეგობრები ვართ“, ღონისძიებას შემოურთდა აზერბაიჯანელი მომღერალი ელდარ გასიმოვი და პატარებს ერთი ჩვეულებრივი დღე გაულამაზა, ღონისძიების ორგანიზატორმა გაზეთ „ინტერანციონალმა“ პატარებს საზეიმო ტორტი გააჭრევინა, უმასპინძლა და ყველა მონაწილეს მცირე სათამაშოებიც უსახსოვრა.

13 აგვისტოს ააიპ „დმანისის ჯანდაცვის ცეტრში“ შევხვდით ლ. საყვარელიძის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის თანამშომლებს განსახორცილებელი პროგრამის „ტუბერკულოზის, აივ/ინფექცია შიდსის, C ჰეპატიტის სკრინინგის ინტეგრირება პირველად ჯანდაცვაში და პარტნიორობის განვითარება დაავადებათა ადრეული გამოვლენის და მკურნალობის ხელშეწყობა“ ფარგლებში დაგეგმილი ტრენინგებს შესახებ, რომელიც 21- 22 აგვისტოს ჩაუტარდათ ექიმებს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დეპარტამენტიდან გადმოგზავნილი წერილის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებდა ჯანდაცვის და დასაქმების პროგრამების პოპულარიზაციას ეთნიკურად დასახლებულ სოფლებში, 21 აგვისტოს შეხვედრა გაკეთდა კარაბულახის ადმინისტრაციულ ერთეულს. რომელსაც სამინისტროში შემავალი დეპარტამენტების 3 წარმომადგენელი გაუძღვა.

22 ოქტომბერს ჯანდაცვის სამსახურის წარმომადგენელი დაესწრო ქალაქ რუსთავში გამართულ კონფერენციას, რომელიც შეეხო აუტიზმით დაავადებულ ბავშვებს.

დღეის მდგომარეობით ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიიღო 408 ბენეფიციარმა;

სტაციონარის მომსახურებით ისარგებლა 456 – მა ბენეფიციარმა;

თვეში 100 ლარიანი დახმარებით სარგებლობს 13 დიალიზის საჭიროების მქონე პირი;

მიმდინარე წელს საშუალოდ კვირაში 40 - 42 პროგრამით მოსარგებლე პირი სარგებლობს ტრანსპორტით მომსახურების პროგრამით. რაც ჯამში 400-450 ადამიანით აღემატება 2018 წლის მონაცემებს. აღნიშნული დადებითი შედეგი გამოწვეულია პროგრამის ცნობადობის ზრდამ. გასულ წლებთან შედარებით.

## 7. საფინანსო საბიუჯეტო სამსახური

დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N51 დადგენილებით ორგანიზაციული და ფუნქციონალური კლასიფიკაციის ჭრილში ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების გათვალისწინებით, რომლის მოცულობა შეადგენს 8019,0 ათასი ლარს, მათ შორის: გადასახადები 6289,0 ათასი ლარი, გრანტები - 130,0 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები - 1595,0 ათასი ლარი და არაფინანსური აქტივების კლება - 5,0 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შესაბამისი დადგენილებით შეტანილი იქნა ცვლილება დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ცხრაჯერ; აქედან საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 იანვრის N6, 2019 წლის 8 თებერვლის N207, N208 2019 წლის 26 თებერვლის N336 და 2019 წლის 15 მარტის N554 და N1733 განკარგულების საფუძველზე წლის დასაწყისისთვის არსებული ნაშთის მიმართებით ხარჯების დასაფარავად ერთხელ შიდა გადაადგილებით და ჭარბი შემოსავლების შედეგად სამჯერ, რომლის წლიური შემოსულობები და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 20180,3 ათასი ლარი.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 9 თვის ბიუჯეტის შემოსულობების საკასო შესრულებამ შეადგინა 60,2 % (გეგმა - 17893,2 ათასი ლარი, ფაქტი - 10777,6 ათასი ლარი) მათ შორის:

ა) დამატებითი ღირებულების გადასახადი შესრულებულია 93,9% (გეგმა - 4014,6 ათასი ლარი - ფაქტი 3770,3 ათასი ლარი).

ბ) ქონების გადასახადი 100,8 % (გეგმა 1088,0 ათასი ლარი, ფაქტი 1097,2 ათასი ლარი)

გ) გრანტები-სახელმწიფო ბიუჯეტიდან ტრანსფერები მიღებულია - 47,9 % (გეგმა - 5560,9 ათასი ლარი, ფაქტი - 2664,2 ათასი ლარი)

დ) სხვა შემოსავლები შესრულებულია 128 % (გეგმა - 2504,6 ათასი ლარი, ფაქტი - 3205,7 ათასი ლარი), აქედან ძირითადად შემოსულია მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 2700,0 ათასი ლარი RMG GOLD-ის მიერ გადახდილი თანხის შედეგად და კომერციული ბანკში განთავსებულ ანგარიშზე დარიცხული პროცენტებიდან 207,8 ათასი ლარი.

ე) შემოსავალი მიწის იჯარიდან - 138,1 ათასი ლარი რაც დაგეგმილი მაჩვენებლის 86,3 %-ია (გეგმა 160,0 ათასი ლარი, ფაქტი 138,1 ათასი ლარი).

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან შემოსულია 17,3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 29,6 %-ია (გეგმა 58,5 ათასი ლარი, ფაქტი 17,3 ათასი ლარი), ხოლო ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან შემოსულია 87,2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 193,8 %-ია (გეგმა 45,0 ათასი ლარი, ფაქტი 87,2 ათასი ლარი), და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები მიღებულია - 10,3 ათასი ლარი და ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 26,8 ათასი ლარი, ხოლო მიწის გაყიდვიდან 13,5 ათასი ლარი.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 9 თვის ბიუჯეტის გადასახდელები ათვისებულია 46,1% (გეგმა 17893,2 ათასი ლარი, ფაქტი 8253,9 ათასი ლარი), მათ შორის:

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების შენახვის ხარჯები 94% (გეგმა - 1917,5 ათასი ლარი, ფაქტი - 1804,0 ათასი ლარი).

- ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხარჯები 94,2 % (გეგმა - 58,6 ათასი ლარი, ფაქტი - 55,2 ათასი ლარი).

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯები - 35 % (გეგმა - 13556,2 ათასი ლარი, ფაქტი - 4748,7 ათასი ლარი).

- საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები - 64,9 % (გეგმა 1133,0 ათასი ლარი, ფაქტი 735,8 ათასი ლარი).

- სპორტიული და კულტურული ღონისძიებების ხარჯები - 94 % (გეგმა - 597,5 ათასი ლარი, ფაქტი 561,4 ათასი ლარი).

- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელებისთვის - 90,5% (გეგმა - 385,4 ათასი ლარი, ფაქტი 348,9 ათასი ლარი).

- ზემოთ აღნიშნული ფაქტიური ხარჯებიდან;

ა) შრომის ანაზღაურებაზე გაცემულია 1062,2 ათასი ლარი, რაც მთლიანი ხარჯების 12,9 %-ს შეადგენს.

ბ) საქონელი და მომსახურების ფაქტიური ხარჯების მოცულობამ შეადგინა 1025,2 ათასი ლარი ანუ მთლიანი ხარჯების 12,4%, აქედან: შტატგარეშე დასაქმებულ თანამშრომლებზე - 0,9%, ოფისის ხარჯები - 2,6 %, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის მოვლა-შენახვის ხარჯები - 1,9%, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე - 3,9%, სამივლინებო ხარჯები 0,3 და წარმომადგენლობითი ხარჯები - 0,1%.

გ) ააიპ - ების სუბსიდირებაზე გაცემულია - 15,6%.

დ) სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გათვალისწინებული ხარჯები გაწეულია - 3,2%.

ე) სხვა ხარჯების მუხლით გაცემულია - 2%

ვ) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით დაფინანსებულია - 53,8 %.

ზ) რბილი ინვენტარის შეძენის ხარჯები 0,1%

დმანისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 9 თვის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მერიის შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე გაცემულია 102,3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) სოფელ სარკინეთში არსებულ სასმელი წყლის მაგისტრალური ხაზის რეაბილიტაციაზე 679 ლარი ქ.დმანისში წმინდა ნინოს ქ.N41-ში მდებარე საკანალიზაციო სისტემის მოწყობაზე 855 ლარი და ქ.დმანისში 9 აპრილის ქ.N77-ში მდებარე სახლის ჭიშკრის მოსაწყობად 576 ლარი.

ბ) 2019 წლის 16 იანვარს ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების საცხოვრებელი ბინების სახურავის აღსადგენად, დაზიანებული ქონების შესყიდვის მიზნით და მრავალბინიანი კორპუსის სახურავის დროებითი გადაფარვისათვის ტენტის შესაძენად გაცემული იქნა 23922 ლარის ოდენობით.

გ) ხანძრის შედეგად დამწვარი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეების საკუთრებაში არსებული დამწვარი თივის პრესის და საცხოვრებელი სახლის ნაწილობრივ ანაზღაურებისათვის 10150 ლარი, ასევე ერთჯერადი სახით გაცემული იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიის მცხოვრები მოქალაქეების დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღსადგენად 4693 ლარი, ხოლო უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეებზე სარიტუალო ხარჯების დაფარვისათვის - 5450 ლარი და სოფელ გომარეთში, სოფ.ვარდისუბანში, სოფ.ბოსლებში, სოფ.მაშავერაში, სოფ.ზემო ოროზმანში და ქ.დმანისში მცხოვრებ მოქალაქეების მკურნალობისათვის 2720 ლარი.

დ) საქართველოს ჩემპიონატი მკლავჭიდში მონაწილეობის მისაღებად გაცემული იქნა 1300 ლარი და ძიუდოში მონაწილეობის მისაღებად 720 ლარი. ასევე დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილ „შუქრი ჩხეტიანის სახელობის“ სამოყვარულო ტურნირი ჭადრაკში, კორნელი გირგვლიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი

მიუდომი და სხვა ღონისძიების ჩატარებისათვის გამარჯვებული სპორტსმენების დაჯილდოებისათვის-მედლები, დიპლომები, თასები, სიგელების შესაძენად გაცემულია 3429 ლარი ხოლო ქალაქ მინსკში გამართულ ევროპის ოლიმპიურ თამაშებზე მე-3 საპრიზო ადგილის დაკავებისათვის ფულადი ჯილდოს სახით გაიწიანაშვილზე გაცემულია 5000 ლარი.

ე) შობის ბრწყინვალე დღესასწაულთან და აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისათვის ნობათის სახით სასაჩუქრე პაკეტების გაცემისათვის 6736 ლარი.

ვ) სოფ.პატარა დმანისში და სოფ.ზემო ოროზმანში სარიტუალო დარბაზის საძირკვლის გრუნტის გეოლოგიური კვლევის ჩატარებისათვის 3700 ლარი.

ზ) ქ.დმანისში ხერგიანის ქუჩაზე მდებარე საზოგადოებრივი ცენტრის წინ სივრცის შემოღობვისათვის 1921 ლარი.

თ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმეტესაწარმოოდ დარჩენილი ძაღლების თავშესაფარში გადაყვანისათვის 8500 ლარი.

ი) სახალხო დღესასწაულის „დმანისობა“ ღონისძიების ჩასატარებლად სხვადასხვა ხარჯებისათვის კერძოდ, კონცერტის ჩასატარებლად და მუსიკალური გაფორმებისთვის 9380 ლარი, 2 ბიოტუალეტის მოსაწყობად 1310 ლარი, დმანისის ღირსშესანიშნაობების 1000 ცალი ფლაერების დამზადებისთვის 750 ლარი, ღონისძიებებში გამარჯვებული პიროვნებების დასაჯილდოებლად 1750 ლარი და ბანერის დამზადება-მოწყობისათვის 450 ლარი, სულ 13640 ლარი.

კ) სოფ.მაშავერაში სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ზეხმელი 24 ჩინარის ხის მოჭრა და 5 ხის გადაბეღვა თანხით 3200 ლარი.

ლ) დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მედალოსანი ბავშვებისთვის 2 დღიანი ექსკურსიის და სასტუმროს ხარჯებისთვის 1028 ლარი.

მ) დმანისის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დაგეგმილი სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებებისათვის თასების, მედლების, მაისურების და კეპების შეძენისათვის 4054 ლარი.

2019 წლის 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით სარეზერვო ფონდის ნაშთი შეადგენს 17,7 ათას ლარს.

## **8. ეკონომიკის სამსახური**

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების საფუძველზე 2018 წლის თებერვლიდან დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას დაემატა ეკონომიკის სამსახური. 2019 წლის განმავლობაში განახორციელა შემდეგი სამუშაოები:

1. აუქციონის წესით იჯარით გაიცა 24 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საიდანაც შემოსულმა თანხამ შეადგინა-36963 ლარი.

2. პირდაპირი განკარგვის წესით გაიცა-12 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საიდანაც შემოსულმა თანხამ შეადგინა 67064 ლარი.

3. აუქციონის მეშვეობით გასხვისდა 3 სატრანსპორტო საშუალება, შემოსულმა თანხამ შეადგინა 20115 ლარი, 1 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 1850 ლარი, და მეორადი გამოყენების ლითონის მილი 180,8 მ, ღირებულებით 21481 ლარი.

4. დმანისის მუნიციპალიტეტში ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში(სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში 2019 წელს შევიდა 110 განცხადება, აქედან დაკმაყოფილდა 2 განცხადება, უარი ეთქვა 108-განცხადება, განხილვის პროცესშია 4 საკითხი.

**9. სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური**  
**დაფინანსების წყარო: ადგილობრივი ბიუჯეტი**  
**დასრულებულები ინფრასტრუქტურული პროექტები**

1. დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზემო კარაბულახში შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა; 2. ქ.დმანისში სიონის ქუჩის მე-6 ჩიხის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა-ღირებულება -115593.00.

შემსრულებელი შპს „გზამშენი 2014“  
სამუშაოს დაწყება/დასრულება 30.04.2019/  
საკასო-24691.26

2. დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ირგანჩაის საჯარო სკოლაში სამკითხველო ოთახის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა-ღირებულება- 2969.00

შემსრულებელი: ი/მ ლევანი ორფანოვი  
სამუშაოს დაწყება/დასრულება: 06.05.2019/25.05.2019  
საკასო: 2785.70

3. დიდი დმანისის-დმანისი-ბედიანის 0 კილომეტრზე არსებულ მოედანზე ბილბორდის განათების მოწყობის სამუშაოების, დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ დმანისში და სოფელ ვარდისუბანში გარე განათების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა-ღირებულება-118318.00

შემსრულებელი შპს მარდი  
სამუშაოს დაწყება/დასრულება 18.06.2019/26.08.2019  
საკასო-111871.27

